

ინფორმაცია მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის გატარებულ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს მთავრობის მიერ, გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ არსებითად შეიცვალა მიდგომა შშმ პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი ხელმისაწვდომი გარემოს უზრუნველყოფისათვის, რასაც მოჰყვა საქართველოს მთავრობის მიერ რიგი განკარგულებები და დადგენილებები შშმ პირთა უფლებების დასაცავად, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის და სახელმწიფოს მართვაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის განკარგულებით მუნიციპალიტეტებს დაევალებათ შეექმნათ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, როგორც მერის სათათბირო ორგანო. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი იყო პირველი რომელმაც შექმნა აღნიშნული საბჭო და შეიმუშავა მისი დებულება, რომელიც დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წლის 29 მაისს. აღნიშნული საბჭოს 11 წევრიდან 6 შშმ პირია, საბჭო მუშაობს ეფექტურად და მასზე განხილულ საკითხებს მოჰყვება კონკრეტული შედეგები, რაც ხელს უწყობს შშმ პირთა საზოგადოებასთან ინტეგრაციას და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ინიციატივით 2018 წლის ბიუჯეტში, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის პროგრამის #9 მუხლში ასახულია შშმ პირთა სხვადასხვა აქტივობებისათვის 20 000 ლარი (ოცი ათასი ლარი) რომლის მიზნობრივად გახარჯვას რეკომენდაციას უწევს აღნიშნული საბჭო.

ცნობილია, რომ წინა წლებში შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს რეკომენდაციით, განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი მუნიციპალიტეტში ინკლუზიური გარემოს შექმნისათვის და შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის, რომელიც გრძელდება მიმდინარე წელსაც.

შშმ პირთა სოციალური პრობლემების მოგვარების მიზნით, მერიაში შემოსული შშმ პირთა განცხადებები განიხილება, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის კომისიის მიერ და მათ ეწევათ, სოციალური დახმარება.

მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის პროგრამის #9 მუხლში განსაზღვრული თანხიდან განხორციელდა იმ შშმ პირთა ოპერაციების თანადაფინანსება, რომლებმაც განცხადებით, მომართეს მერიას. ჩვენს მიერ, მოძიებული იქნა მათი დაავადების სპეციფიკიდან გამომდინარე შესაბამისი კლინიკები, გაწეული დახმარება შედეგიანი აღმოჩნდა შშმ პირებისათვის და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

მიმდინარე წელს 20 ბენეფიციარისათვის განხორციელდა სამკურნალო -სარეაბილიტაციო ღონისძიება ტენდერით გამოვლენილ კურორტ ურეკის ადაპტირებულ სარეაბილიტაციო ცენტრში.

მხარდაჭერა ეწევა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ ბავშვებს რომ ადრეული ასაკიდანვე მოხდეს მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია საზოგადოებაში და ჩართული იყვნენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ ისევე როგორც ყველა ბავშვს ჰქონდეს განათლების

მიღების ღირსეული და თანაბარი ხელმისაწვდომობა, რომლის უზრუნველყოფა გაეროს კონვენციის ხელმოწერი ქვეყნების ვალდებულებაა. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სპორტისა და განათლების სამსახური მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 0-დან 18 წლამდე 52 ბავშვთან მუშაობს. შშმ ბავშვების მშობლებთან მუშაობამ შედეგი გამოიღო და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა შშმ ბავშვი ჩართულია სასწავლო დაწესებულებებში. 16 სკოლამდე დაწესებულებაში ირიცხება 11 შშმ და სსსმ ბავშვი, რომლის სასწავლო პროცესში ჩართულობას კვალიფიცირებული სპეციალისტი ემსახურება, ხოლო 12 საჯარო სკოლის ინკლუზიურ სწავლობაში ჩართულია 41 შშმ და სსსმ მოსწავლე რომელთათვის სკოლებში შექმნილია სრულფასოვანი ინკლუზიური გარემო და მათ სასწავლო პროცესში ჩართულობისათვის ზრუნავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა 14 პედაგოგი.

- ❖ ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მრავალპროფილური კოლეჯი „იბერია“ რომელიც ადაპტირებულია და შექმნილია პირობები, რომ პროფესიას დაეუფლონ შშმ პირები ასაკის შეუზღუდავად. მერია თანამშრომლობს აღნიშნული კოლეჯთან, აორგანიზებს და აწყობს ურთიერთ გაცნობით შეხვედრებს შშმ პირებისათვის პროფორიანტაციის მიზნით და უკვე რამდენიმე შშმ პირი დაეუფლა აღნიშნულ კოლეჯში პროფესიას, მიმდინარე საშემოდგომო რეგისტრაციაზე კი ორმა შშმ პირმა დააფიქსირა პროფესიის შესწავლის სურვილი.
- ❖ მერიის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს რეკომენდაციით „ბავშვთა და მოზარდთა აქტივობის ცენტრში“ ფუნქციონირებს პარასპორტის 3 სახეობა: მკლავჭიდი, მაგიდის ჩოგბურთი და ბოჩა. შექმნილი გვაქვს აღნიშნული სახეობისათვის შესაბამისი ადაპტირებული ინვენტარი. პარასპორტში ჩართულ 20 შშმ პირს რეგულარულად ემსახურებათ ტრანსპორტი და მათთან მუშაობს გადამზადებული მწვრთნელი.
- ❖ პარასპორტში ჩართულმა შშმ პირებმა მ/წლის 22 მარტს მონაწილეობა მიიღეს ქ.თბილისში პარასპორტის განვითარების ცენტრში გამართულ პარასპორტსმენტა კვირეულში, სადაც პარასპორტის 2 სახეობაში ბოჩასა და მკლავჭიდში საპრიზო ადგილები დაიკავეს.
- ❖ შშმ პირებმა ასევე იასპარეზეს ქ.ქუთაისის მერიის ინიციატივით მ/წლის 27 ივლისს გამართულ ნარდისა და შაშის ტურნირში, სადაც მოიპოვეს პრიზები და ფასიანი საჩუქრები.
- ❖ პარასპორტში ჩართულმა შშმ პირებმა იასპარეზეს 19 სექტემბერს ქ. ბორჯომში ახალგაზრდული მედია კავშირის მიერ ორგანიზებულ და თბილისის მერიის მხარდაჭერით განხორციელებილ პროექტში „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქია“-ს ფარგლებში გამართულ ჯომარდობის შეჯიბრში. სადაც სხვადასხვა მინიციპალიტეტებს შორის ასევე საპრიზო ადგილი მოიპოვეს.
- ❖ მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით განხორციელებულ „ევროპის სპორტის კვირეულში“ 23-30 სექტემბერს აქტიურად ჩაერთნენ შშმ პირები.

❖ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს რეკომენდაციით, მერიის კულტურის, სპორტისა და განათლების სამსახური ორგანიზებას უწევს კანონით დადგენილ შშმ პირთა აღსანიშნავი დღეების რეგულარულად ჩატარებას. მიმდინარე წელს მამტაბურად აღინიშნა : 21 მარტი დაუნის სინდრომის მატარებელთა საერთაშორისო დღე.

3 აპრილი- აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღე.

14 ივნისი-საქართველოში შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე.

3 დეკემბერი- შშმ პირთა საერთაშორისო დღე.

აღნიშნულ თარიღებში ჩატარდა სხვადასხვა სახის კულტურულ-სპორტული-გასართობი ღონისძიებები რომელთაც დასრულდა შშმ პირთათვის ლანჩით.

❖ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომის რეკომენდაციით, 10 აგვისტოს მოეწყო ექსკურსია და შშმ პირებმა, სულ 35 ბენეფიციარმა დაათვალიერა დასავლეთ საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილები.

❖ მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ჩვენი ინიციატივით ბაღდათში მცხოვრები შშმ პირები ჩართული არიან სხვადასხვა არსამთავრობო ორგანიზაციების პროექტებში სადაც ისინი იძენენ შესაამის უნარ -ჩვევებს. არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით არაერთი კონკრეტული შედეგი გვაქვს სახეზე კერძოდ; მიმდინარე წელს თანამშრომლობა დავიწყეთ საქართველოს არბაითერ-სამარტერ-ბუნდთან რომელთა დახმარებით ჩატარდა საჭიროებათა კვლევა შშმ პირთა ადგილობრივი თემის მხარდაჭერისა და სოციალური ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

❖ ორგანიზაცია,, განვითარებისა და დასაქმების ცენტრთან“ თანამშრომლობით მივაღწიეთ შშმ პირ ქალთა ჯგუფების გააქტიურებას. აღნიშნულმა ორგანიზაციამ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალი შშმ პირების და მათი ოჯახის წევრების დასაქმების მიზნით მ/წელს გადაამზადა შშმ პირ ქალთა ჯგუფი, რომლებიც აღიჭურვენ შშმ პირთა სერვისების განვითარების ხელშემწყობი საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით.

❖ ორგანიზაცია „ასოციაცია გურია“-სთან თანამშრომლობით მ/წლის 3 ოქტომბერს 10 შშმ პირმა მონაწილეობა მიიღო დაბა ურეკში გამართულ კონფერენციაში, რომელიც ყაზახეთის არასამთავრობო ორგანიზაციისა და „ასოციაცია გურიის“ მიერ იყო დაგეგმილი და ორგანიზებულ. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობით ადგილობრივი თემის შშმ პირებმა გაიზიარეს სხვა ქვეყნების გამოცდილებები რაც აისახება მათ შემდგომ განვითარებაზე.

❖ მიმდინარე წელს ჩვენი თხოვნის საუფუძველზე გერმანული არასამთავრობო ორგანიზაციამ გაგვიწია თანადგომა და საჩუქრად გადმოგვცა 11 ეტლი, რომლებიც დაურიგდა ეტლით მოსარგებლე შშმ პირებს.

- ❖ წლების მანძილზე ვთანამშრომლობთ World vision „იმერეთის სამხარეო პროგრამა ბავშვთა კეთილდღეობისათვის“ რომლის მხარდაჭერით 21 მარტისა და 14 ივნისის ღონისძიებაში მონაწილე 30 ბავშვს გადაეცა სასაჩუქრე პაკეტი.
- ❖ მუნიციპალიტეტი კვლავ აგრძელებს თანამშრომლობას ქ.ქუთაისში განთავსებულ ააიპ-თან „ხიდი სოციალური ინკლუზიისათვის“ სადაც ბაღდათში მცხოვრები 0-დან 18-წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთაც აქვთ განვითარების სხვადასხვა დარღვევები და განვითარების რისკი, ღებულობენ მომსახურებით სერვისს. აღნიშნულ ორგანიზაციასთან მერიას დაგეგმილი აქვს თანამშრომლობის გაღრმავება, ვცდილობთ მერიამ უზრუნველყოს პირობები იმისა რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ბავშვებს აღნიშნულმა ორგანიზაციამ მომსახურება გაუწიოს ადგილზე და აღარ დასჭირდეთ მომსახურების მისაღებად ქუთაისში გადაადგილება.
- ❖ მერია სრულ მხარდაჭერას უცხადებს ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირთა კავშირ „რწმენა და იმედს“, რომელშიც გაწევრიანებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები 150 შშმ პირი. კავშირს სრულფასოვანი მუშაობისათვის მერიამ მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით გადასცა კეთილმოწყობილი საოფისე ფართი, სადაც იმართება შშმ პირთა საერთო კრებები.
- ❖ შშმ პირთა გარემოს ხელმისაწვდომობის მიზნით შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს რეკომენდაციით ავტოსადგომებზე გაკეთდა შშმ პირთა პარკინგები.
- ❖ პერიოდულად ხორციელდება საქველმოქმედო აქციები განსაკუთრებით შეჭირვებული შშმ პირების დასახმარებლად, მათ ბინაზე ვაწვდით საკვებ პროდუქტს, ტანსაცმელს და პირველადი მოთხოვნილების ნივთებს.
- ❖ მიმდინარე წლის 10 ნოემბერს შშმ პირთა კავშირი „რწმენა და იმედი“ მიწვეულია ქ. თბილისში, შშმ პირთა სიმდერის , ცეკვისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალში სახელწოდებით „ ივერია ბრილიანტი“ . ფესტივალში ჩართული არიან, ექვსი ქვეყნის შშმ პირები, სადაც გაიმართება ხელთნაკეთი ნივთების გამოფენა გაყიდვა, სადაც ჩვენი შშმ პირები გამოფენენ თავიანთ ხელთნაკეთ ნივთებს და გაიზიარებენ გამოცდილებებს.

მიმდინარე წელს კვლავ დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები რომლებიც განხორციელდება ეტაპობრივად.

ცნობა - დეტალური
 გაწეული ხარჯების შესახებ ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით 01/01/2018 -
 30/09/2018 პერიოდში

(ყველა)

10/09/2018

12:17

გაცემულია:

ცნობა2

06 02 09 შშმ პირთა დახმარება

სახაზინო კოდი:

ბალ დათის
 მუნიციპალიტეტი

თარიღი	დავ.#	თანხა	მიმღები
2.2.10.12	კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები		
06/07/2018	232	117.00	ი/მ მოვარისა მსხვილიძე
	სულ მუხლობზე	117.00	
2.2.4	წარმომადგენლობითი ხარჯები		
29/06/2018	199	160.00	ამხანაგობა ამხანაგობა "ახალი საცობი"
26/07/2018	240	148.50	ი/მ იზა ყიფიანი
	სულ მუხლობზე	308.50	
2.2.8.4	ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი		
01/05/2018	104	80.64	შს შს დავითი 2014
15/05/2018	117	160.02	შს შს დავითი 2014
05/06/2018	150	160.02	შს შს დავითი 2014
06/06/2018	158	10.71	შს შს დავითი 2014
21/06/2018	167	321.30	შს შს დავითი 2014
24/08/2018	274	291.06	შს შს დავითი 2014
	სულ მუხლობზე	1,023.75	
2.7.2.1	სოციალური დახმარება - ფულადი ფორმით		
01/02/2018	21	800.00	ავთანდილ კვიციანიძე
28/02/2018	31	300.00	შს შს ხანნი
06/03/2018	38	200.00	ფოთოლა ნებიერიძე

18/04/2018	78	220.00	ი/მ ნიკოლოზ ეზანოძე
04/09/2018	290	7,600.00	ა.ა.ი.პ გურიის რეგიონის ინველიდთა ასოციაცია
05/09/2018	304	279.20	შპს შპს ექსპრეს მარკეტი
11/09/2018	313	1,500.00	ნანა რობაქიძე
	სულ მუხლზე	10,899.20	
	სულ:	12,348.45	